

საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა (2019-2022წწ.)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და

ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი

(ორგანიზაციის დასახელება)

სოფლის მეურნეობა

(პრიორიტეტის¹ დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა)

1. პროგრამა „ინვაზიური და სხვა სახის დაავადებათა საწინააღმდეგო ღონისძიებების პროგრამა“ 2019-2021წ.

(პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები)

2. პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

გალის რაიონის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის, მათ შორის მეცხოველეობის და მეფუტკრეობის პროდუქციის წარმოება-რეალიზაცია, რაც პრაქტიკულად წარმოდგენილია ვეტერინარული მომსახურების გარეშე. ეს კი გულისხმობს შინაური ცხოველებისა და ფუტკართა დაავადებათა (მ.შ. ინვაზიური, გარე პარაზიტების, პიროპლაზმოზის, მასტიტების, ენდომეტრიტების, კუჭ-ნაწლავის სხვადასხვა დაავადებების, ემკარის, ჰემორაგიული სეპტიცემიის, ღორის კლასიკური ჭირის, წითელი ქარის და სხვა) საპროფილაქტიკო-სამკურნალო ღონისძიებების ჩატარებას.

გალის რაიონის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა წლების განმავლობაში უკიდირესად მძიმეა, შესაბამისად ფინანსური რესურსის სიმწირის გამო ნაკლებად ხელმისაწვდომია აუცილებელი და თანამედროვე საპროფილაქტიკო-სამკურნალო ვეტ.პრეპარატები.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამა არის ერთადერთი საშუალება, საჭირო ვეტპრეპარატების შეძენისა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საკუთრებაში მყოფი შინაური ცხოველებისა და ფუტკართა ოჯახების სხვადასხვა დაავადებათა საწინააღმდეგო ვეტღონისძიებების ჩასატარებლად. ამასთანავე გალის რაიონში აღნიშნული პროგრამის ეფექტურად განხორციელება თავის მხრივ მეზობელი ქვეყნიდან და ოკუპირებული ტერიტორიიდან შინაური ცხოველების ინფექციური დაავადებებისა და ეპიდემიების გავრცელების საშიშროების მინიმიზაციას მნიშვნელოვნად ხელს უწყობს.

3. პროგრამის აღწერა

ვეტერინარია არის მეცნიერული და პრაქტიკული საქმიანობის სფერო, რომელიც მიმართულია ყველა სახის ცხოველების, ფრინველებისა და ფუტკრის სნეულებების პროფილაქტიკისა და მათი მკურნალობის, ვეტერინარულ-სანიტარული თვალსაზრისით სრულფასოვანი და კეთილსაიმედო მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და მოსახლეობის დასაცავად ცხოველთა და ადამიანის საერთო გადამდები სნეულებებისა და მასობრივი მოშხამვისაგან. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ზემოთაღნიშნული პროგრამის განხორციელება. კერძოდ იმისათვის, რომ გალის რაიონში შევინარჩუნოთ ვეტერინარიის დარგში არსებული კეთილსაიმედოობა და ეპიზოოტიური სიტუაცია ინვაზიური და სხვა ინფექციური დაავადებების მხრივ, პროგრამა ითვალისწინებს ორ მიმართულებას:

1. დაავადებათა საპროფილაქტიკო-სამკურნალო ღონისძიებების ჩასატარებელი ვეტ.პრეპარატების შეძენას;
2. შესაბამისი ადგილობრივი საკადრო რესურსის მომზადებას და საპროფილაქტიკო-სამკურნალო ღონისძიებების ჩატარებას.

პირველი მიმართულებით შეძენილ იქნება ვეტპრეპარატები შემდეგ დაავადებებზე:

- ინვაზიურ დაავადებები (ფასცილიოზი, პარამფისტომატოზი, დიქტიოკაულიოზი, ასკარიდოზი და სხვა შიდა პარაზიტები);
- გარე პარაზიტები (ტილი, ტკიპა, კანის ბორა, მკრეჭავი მუნი და სხვა);
- პროფილაქტიკური იმუნიზაცია: ემკარი, ჰემორაგიული სეპტიცემია, პიროპლაზმოზი, ღორის კლასიკურ ჭირი, წითელ ქარი.
- კუჭ-ნაწლავის სხვადასხვა დაავადებები: ტიმპანია, დისპეპსია, ატონია და სხვა.
- მასტიტები, ენდომეტრიტები და სხვა გადამდებ და არაგადამდებ დაავადებებზე მკურნალობა.

მეორე მიმართულებით შერჩეულ იქნება 7 შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტი, მოხდება მათი ცოდნის ამაღლება ტრენინგების გზით, რის შემდგომ ისინი განახორციელებენ გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე 24 სოფლის 6000-მდე კომლის საკუთრებაში მყოფი შინაური ცხოველებისა და ფუტკართა ოჯახის ვეტმომსახურებას.

პროგრამა განხორციელდება გეგმის მიხედვით კერძოდ:

I –II კვარტალში გამოცხადდება ტენდერი შესაძენ ვეტ.პრეპარატებზე. შეძენილი ვეტ.პრეპარატები გადანაწილდება ვეტსპეციალისტებზე (შესაბამისი სოფლების მიხედვით) სათანადო მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით. შემდგომში კი, ამ ვეტპრეპარატების გამოყენებით განხორციელდება გეგმიური და არაგეგმიური საპროფილაქტიკო-სამკურნალო ღონისძიებები (მ.შ. მაგალითად, შინაური ცხოველებისა და ფუტკართა გეგმიური დამუშავება შიდა და გარე პარაზიტებზე და სხვა), აგრეთვე

ცხოველების მკურნალობა სხვადასხვა არაგეგმიურ ინფექციურ და არაინფექციურ დაავადებებზე.

III –IV კვარტალში გაგრძელდება გეგმიური და არაგეგმიური მომსახურეობა - სხვადასხვა ინფექციურ და არაინფექციურ დაავადებებზე, ასევე განხორციელდება საპროფილაქტიკო-სამკურნალო ღონისძიებები დაავადება პიროპლაზმოზზე.

წლის ბოლოს კი დეპარტამენტში წარდგენილი იქნება ინფორმაცია პროგრამით გათვალისწინებული და ჩატარებული ვეტ.ღონისძიებების შესახებ შესაბამისი გახარჯვისა და ნაშთად დარჩენილი ვეტ.პრეპარატების აქტების წარდგენით.

4. მოსალოდნელი შედეგები

გალის რ–ნის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ვეტღონისძიებების დროულად და სრულყოფილად განხორციელების შედეგად საგრძნობლად შემცირდება საშიში ინფექციური დაავადებათა წარმოშობისა და გავრცელების რისკი, რის შედეგადაც არამარტო შენარჩუნდება, არამედ გაიზრდება შინაურ ცხოველთა რაოდენობა. განხორციელებული პროგრამით ხელი შეეწყობა მეცხოველეობისა და მეფუტკრეობის განვითარებას. აქედან გამომდინარე, რაც მთავარია, გაუმჯობესდება გალის რაიონის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ასევე მოსახლეობა დაცული იქნება ინვაზიური და ცხოველიდან ადამიანზე გადამდებ საშიშ ინფექციური დაავადებებისაგან. პროგრამის ეფექტურად განხორციელება თავის მხრივ ქვეყანაში ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნებას ხელს შეუწყობს.

5. შედეგების შესრულების შეფასების კრიტერიუმები

განხორციელებული პროგრამის ეფექტურობა.

6. პროგრამის რისკ–ფაქტორი

- ა) გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ფორს–მაჟორული სიტუაცია,
- ბ) შინაური ცხოველების საკარანტინო დაავადებათა მასიური გავრცელება (პანდემია)

შენიშვნა: პრიორიტეტში იგულისხმება ბიუჯეტის პრიორიტეტები, რომლის ფარგლებშიც

სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულებების ახორციელებენ თავიანთ პროგრამებს.